



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030483631091620

№ 04-209/თ

08 / აპრილი / 2020 წ.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (დანართის N20.2) მე-3 მუხლის „ა“ („ა.ა“), „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან დადგენილი წესით წარმოსადგენი საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 2 აპრილის N01/3937 (N04/8565; 31.03.2020 წ.) წერილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/თ ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ანგარიშგების ფორმებს დაემატოს „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (დანართის N20.2) მე-3 მუხლის „ა“ („ა.ა“), „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული საანგარიშგებო ფორმები (დანართი N31; დანართი N32; დანართი N33).
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული N31, N32 და N33 ფორმებით ანგარიშგება მიმწოდებლების მხრიდან განხორციელდეს 2020 წლის თებერვლის თვიდან გაჩეულ მომსახურებაზე.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

